

**საქართველოს რაგბის კავშირის  
გამგეობის სხდომის  
ოქმი**

2022 წლის 17 ივნისი, სასტუმრო „ჰილტონ გარდენ ინი“

**ესწრებოდნენ:**

- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ., პირადი № 01031003677)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ., პირადი № 12001031106)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი № 01014002287)
- ლაშა ხურციძე (დაბადებული 13.02.1975 წ.; პირადი № 01008014751)

**სხდომის მომწვევი:** დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

**სხდომის თავმჯდომარე:** დავით კაჭარავა

**სხდომის მდივანი:** ნატალია კურტანიძე

**სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:**

- ნიკოლოზ ალავიძე, სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველი
- თორნიკე გოგებაშვილი, სრკ-ს ადმინისტრაციული დირექტორი
- ივანე დავითაშვილი, სრკ-ს პროფესიული რაგბის განვითარების მენეჯერი
- მირიან თავზარაშვილი, სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის თავმჯდომარე
- ედუარდ ნაჭყებია, სრკ-ს იურისტი
- გურამ ნიკოლაშვილი, სრკ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
- კომპანია „გოდოს“ წარმომადგენლები

**სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:**

- 1 მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერის და რეგისტრაციის შესახებ რეგულაციის დამტკიცებაა

- 2 2021-2022 წლის საშეჯიბრო სეზონის დიდი 10-ს და პირველი ლიგის საპრიზო ფონდის განაწილების წესის დამტკიცება
- 3 სრკ-ს პრეზიდენტის ფონდის წესდების და გამგეობის დამტკიცება
- 4 შიდა ჩემპიონატის რესტრუქტურის პროექტი
- 5 რაგბის კავშირის ვიზუალის რებრენდინგი
- 6 საშეჯიბრო დებულების ახალი რედაქციის წარდგენა
- 7 მსაჯთა კომიტეტის ანგარიში

**სხდომამ გადაწყვიტა:**

**პირველ საკითხთან დაკავშირებით,**

რომელიც ეხებოდა

**მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერის და რეგისტრაციის შესახებ რეგულაციის დამტკიცებას,**

გამგეობას წარედგინა აღნიშნული რეგულაციის საბოლოო რედაქცია. აღნიშნული დოკუმენტი სრკ-ს გამგეობამ განიხილა 2022 წლის აპრილში; პარალელურად, დოკუმენტი, გაცნობის და რეაგირების მიზნით, დაეგზავნა კლუბებს და გამგეობის მოთხოვნით, მორაგბეებს. გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს იურისტის ედუარდ ნაჭყებიას მოხსენება, რომელმაც შეაჯამა კლუბებისგან და მორაგბეებისგან მიღებული უკუგება და ხაზი გაუსვა რეგულაციის იმ პუნქტს, რომელიც დამატებით მსჯელობას საჭიროებდა, კერძოდ:

- შეზღუდვა სატრანსფერო პერიოდში ერთი კლუბის მიერ მეორე კონკრეტულ კლუბიდან მოთამაშეების გადაყვანაზე.
- ახალი რეგულაციით მოთამაშის წვრთნისა და განვითარებაში გაღებული ინვესტიციის კომპენსაციის ახალი წესით გამოთვლისას სამართლიანობის დაცვის მიზნით, მოთამაშის მშობლიური კლუბის სტატუსის დადგენა.

**მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს რეგულაცია მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერის და რეგისტრაციის შესახებ შემდეგი შესწორებებით:**

- რეგულაციის მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერის და რეგისტრაციის შესახებ 2.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:  
სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ კაცთა ლიგაში მონაწილე ერთ კონკრეტულ კლუბში (გუნდში) იკრძალება მეორე კონკრეტული კლუბიდან (გუნდიდან) სამზე (3) მეტი მოთამაშის ტრანსფერი.

- ახალი რეგულაციით, მოთამაშის წვრთნისა და განვითარებაში გაღებული ინვესტიციის კომპენსაციის ახალი წესით გამოთვლისას სამართლიანობის დაცვის მიზნით, მოთამაშის მშობლიურ კლუბად (მიხედავ იმისა იყო თუ არა მოთამაშე ამ კლუბში პირველად რეგისტრირებული) ჩაითვალოს ის კლუბი, რომელშიც მოთამაშე რეგისტრირებული იყო სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შესაბამის შეჯიბრებებში 2021-2022 წლის სათამაშო სეზონის განმავლობაში (გარდა 2021-2022 წლის სათამაშო სეზონის განმავლობაში საერთაშორისო ტრანსფერით სრკ-ში რეგისტრირებული მოთამაშეებისა.) შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის გამოთვლა მოხდება იმ პერიოდის გათვალისწინებით, რომლის დროსაც მოთამაშე რეგისტრირებული იყო აღნიშნულ კლუბში.

*მაგალითი: თუ 2021-2022 წლის სათამაშო სეზონზე მოთამაშე რეგისტრირებული იყო A კლუბში, A კლუბი არ არის მისი პირველადი რეგისტრაციის კლუბი (2021-2022 წ.) და A კლუბში დარეგისტრდა (არაპირველი რეგისტრაცია) 2019 წლიდან ამ შემთხვევაში, A კლუბს უფლება აქვს 2019 წლიდან მოითხოვოს კომპენსაცია ახალი რეგულაციით დადგენილი წესით.*

- 2021 – 2022 წლის სათამაშო სეზონში განათხოვრებული მოთამაშეების მშობლიურ კლუბად ჩაითვალოს კლუბი, რომლიდანაც მოხდა მოთამაშის განათხოვრება. და შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის გამოთვლა მოხდება იმ პერიოდის გათვალისწინებით, რომლის დროსაც მოთამაშე რეგისტრირებული იყო აღნიშნულ კლუბში.

*მაგალითი: თუ 2021-2022 წლის სათამაშო სეზონზე მოთამაშე რეგისტრირებული იყო A კლუბში, რომელიც განათხოვრებული იყო B კლუბიდან და B კლუბში მოთამაშე რეგისტრირებული იყო 2 (ორი) სათამაშო სეზონი, კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს B კლუბს 2 (ორი) სათამაშო სეზონი.*

ამასთანავე, გამგეობის წევრი ალექსანდრე ხვედელიძე დაეთანხმა გამგეობის გადაწყვეტილებას მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერის და რეგისტრაციის შესახებ რეგულაციის დამტკიცების თაობაზე, მაგრამ დააფიქსირა შემოთავაზება, რომ კომპენსაციის მოთხოვნის მიზნებისთვის მორაგბეთა ასაკი განისაზღვროს 17-დან 25 წლამდე (1 წლით მეტი, ვიდრე დებულების ახალ რედაქციაშია განსაზღვრული), თუმცა გამგეობის დანარჩენმა წევრებმა ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს.

მეორე საკითხთან დაკავშირებით,

რომელიც ეხებოდა

2021-2022 წლის საშეჯიბრო სეზონის დიდი 10-ს და პირველი ლიგის საპრიზო ფონდის განაწილების წესის დამტკიცებას,

გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრვ-ს იურისტის ედუარდ ნაჭყეზიას მოხსენება, მასზედ, რომ დიდი 10-ის და პირველი ლიგის გუნდებზე საპრიზო თანხების გაცემისთვის საჭიროა გამგეობამ დაამტკიცოს დიდი 10-ის და პირველი ლიგის საპრიზო ფონდის თანხის გადანაწილების წესი შესაბამისი ადგილებისთვის.

გამგეობამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

**დამტკიცდეს 2021-2022 წლის საშეჯიბრო სეზონის დიდი 10-ის და პირველი ლიგის საპრიზო ფონდის განაწილების წესი წარმოდგენილი სახით.**

საპრიზო ფონდის განაწილება საქართველოს რაგბის კავშირმა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების საფუძველზე.

**2021-2022 წლის სეზონში დიდი 10-ს მონაწილე კლუბებზე გასაცემი საპრიზო თანხა - 500 000 ლარი**

1. I ადგილი	შპს სარაგბო კლუბი ბათუმი	160 000 ლარი
2. II ადგილი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი ს.ტ.უ. ყოჩები	110 000 ლარი
3. III ადგილი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი რუსთავის ხარები	85 000 ლარი
4. IV ადგილი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი ლელო	65 000 ლარი
5. V ადგილი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი აკადემია +	45 000 ლარი
6. VI ადგილი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი აია	35 000 ლარი

**2021-2022 წლის სეზონში საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მონაწილე კლუბებზე გასაცემი საპრიზო თანხა - 150 000 ლარი**

1. I ადგილი	ა(ა)იპ სპორტული კლუბი არმია	55 000 ლარი
2. II ადგილი	ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდან-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი - ხვამლი	45 000 ლარი
3. III ადგილი	ა(ა)იპ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების კავშირი - არწივები	30 000 ლარი
4. IV ადგილი	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი ტაო	20 000 ლარი

**მესამე საკითხთან დაკავშირებით,**

რომელიც ეხებოდა

**საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდის წესდების და ფონდის გამგეობის შემადგენლობის დამტკიცებას,**

გამგეობამ მოისმინა სრკ-ს პრეზიდენტის მრჩევეის ნიკოლოზ ალავიძის მოხსენება, რომელმაც ისაუბრა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდის დაარსების მიზნებზე, რაც მოიცავს ვეტერან მორაგბეებზე ზრუნვას, ქველმოქმედებას სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე, სოციალურად დაუცველი წარმატებული მორაგბეების განათლების ხელშეწყობას, მორაგბეებისთვის თამაშის შემდგომი კარიერული განვითარების ხელშეწყობას და ა.შ. ნიკოლოზ ალავიძემ ასევე ისაუბრა ფონდის დაფინანსების შესაძლო წყაროებზე და მართვის სტრუქტურაზე და წარუდგინა გამგეობის წევრებს ფონდის წესდების პროექტი.

გამგეობის წევრებმა მოიწონეს იდეა, მისი განხორციელების გეგმა და ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საქართველოს რაგბის კავშირის წესდების შესაბამისად თანხმობა მიეცეს და დამტკიცდეს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდის წესდება წარმოდგენილი სახით.

1. იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდი“
2. წილობრივი მონაწილეობა: ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირი (ს/კ 204874911) – 100 %

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდი“ გამგეობის წევრებად არჩეულ იქნა შემდეგი პირები:

- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- ნიკოლოზ ალავიძე (დაბადებული 28.11.1977 წ.; პირადი № 59001000119)
- გრეგორი ლაბაძე (დაბადებული 21.09.1973 წ.; პირადი № 65002000973)
- გიორგი კაჭარავა (დაბადებული 28.06.1982 წ.; პირადი № 01008019071)
- ავთანდილ ღიბრაძე (დაბადებული 21.09.1947 წ.; პირადი № 01009000834)

გ) მიეცეს უფლება საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს მოახდინოს აღნიშნული იურიდიული პირის დაფუძნებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელება და ღონისძიების გატარება.

## მეოთხე საკითხთან დაკავშირებით,

რომელიც ეხებოდა

**შიდა ჩემპიონატის რესტრუქტურის პროექტის დამტკიცებას,**

საქართველოს რაგბის კავშირმა მოისმინა პროფესიული რაგბის განვითარების მენეჯერის ივანე დავითაშვილის მოხსენება, რომელმაც მიმოიხილა პროექტზე მუშაობის ბოლო ეტაპებზე მიღწეული შედეგები, შეაჯამა კლუბებისგან მიღებული უკუგება და დასამტკიცებლად წარმოადგინა შიდა ჩემპიონატის რესტრუქტურის პროექტის ბოლო რედაქცია (თან ერთვის), რომელშიც გათვალისწინებული იყო კლუბების არსებითი შენიშვნები.

ყველაზე მსხვილმასშტაბიანი ცვლილებები, რომელსაც შიდა ჩემპიონატის რესტრუქტურის პროექტი ითვალისწინებს, შეეხება დიდ 10-ს (2023-2024 წწ. სეზონში გუნდების რაოდენობა შემცირდება 8-მდე), ესპუართა ლიგას (2022-2023 წწ. სეზონიდან აღნიშნული ლიგა ხელმისაწვდომი გახდება როგორც დიდი 10-ის, ისე I ლიგის გუნდებისთვის; მასში მონაწილეობა შეეძლება მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 10 გუნდს; შეიცვლება საბაზისო დაფინანსების წესი და საპრიზო ფონდი); პროექტი ასევე ითვალისწინებს კაცთა გუნდებს შორის საქართველოს თასის გათამაშების შესაძლებლობას.

პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იოსებ ტყემალაძემ შესთავაზა გამგეობის წევრებს კენჭისყრის 1 კვირით გადადება, საკითხის კიდევ ერთხელ გაანალიზების და საბოლოო მსჯელობის მიზნით, თუმცა გამგეობის წევრების უმეტესობა არ დაეთანხმა ამ შემოთავაზებას, ვინაიდან პროექტზე მუშაობა თითქმის ერთი წლის წინ დაიწყო, პროექტის სამუშაო ჯგუფს ყველა დაინტერესებულ მხარესთან ჰქონდა აქტიური კომუნიკაცია და კლუბებს საშუალება ჰქონდათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები; ამდენად, საკითხის განხილვის კიდევ 1 კვირით გადაწევა მდგომარეობას არ შეცვლიდა.

მსჯელობის შედეგად გამგეობის წევრებმა **8 ხმით (მომხრე: მერაბ ანთაძე, მამუკა გორგოძე, აკაკი დავითულიანი, ზვიად თავართქილაძე, დავით კაჭარავა, გიორგი კობახიძე, გრიგოლ ქერაშვილი, ლაშა ხურციძე; თავი შეიკავეს: კობა გიორგაძე, იოსებ ტყემალაძე, გელა ქობულაძე; წინააღმდეგ: ალექსანდრე ხვედელიძე) დაამტკიცეს წარმოდგენილი პროექტი შემდეგი დათქმებით:**

- სამართლიანობის პრინციპის დაცვის მიზნით, შიდა ჩემპიონატის ახალი ფორმატით გამართვის პირველ წლამდე (2023-2024 წწ. სეზონი), გადათამაშება შეეხოს ამჟამინდელი დიდი 10-ის (2022-2023 წწ. სეზონი) როგორც მე-7, ისე მე-8 ადგილებს, ხოლო მეორე წლიდან (2023-2024 წწ. სეზონი) უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად/მოსახვედრად გადათამაშება მოხდეს მხოლოდ მე-7 ადგილისთვის, ხოლო მე-8 ადგილის მფლობელი პირდაპირ ჩაქვეითდეს I ლიგაში;
- ამა თუ იმ ლიგაში დასარჩენად/მოსახვედრად გადათამაშება გაიმართოს მხოლოდ ერთ რაუნდად, ქვედა ლიგის გუნდის მოედანზე;

- შიდა ჩემპიონატის ახალი ფორმატით გათამაშების საწყის ეტაპზე (2023-2024 წწ.), I ლიგაში გუნდების რაოდენობა დარჩეს უცვლელი.

**მეხუთე საკითხთან დაკავშირებით,**

რომელიც ეხებოდა

საქართველოს რაგბის კავშირის ვიზუალური ატრიბუტიკის რებრენდინგს, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის გურამ ნიკოლაშვილის და კომპანია „გოდოს“ წარმომადგენელთა მოხსენება რებრენდინგის პროცესის მიზნების, ლოგიკური დასაბუთების და მსვლელობის შესახებ და შეისწავლეს კომპანია „გოდოს“ მიერ დამზადებული ვიზუალური ატრიბუტიკის წარმოდგენილი ვერსიები. შედეგად, კომპანია „გოდოს“ დაევალა დამატებითი ნიმუშების წარმოდგენა, რის საფუძველზეც გამგეობა უახლოეს ვადაში აირჩევს მისაღებ ვარიანტს.

**მეექვსე საკითხთან დაკავშირებით,**

რომელიც ეხებოდა

საქართველოს რაგბის კავშირის შიდა ჩემპიონატის საშეჯიბრო დებულების ახალი რედაქციის წარდგენას  
გამგეობის წევრებს წარედგინათ ახალი საშეჯიბრო დებულების სამუშაო ვერსია, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ჩემპიონატის რესტრუქტურირების პროცესს და ემსახურება საქართველოს ჩემპიონატის საორგანიზაციო ხარისხისა და კლუბების მომსახურების სტანდარტის ამაღლებას.

**მეშვიდე საკითხის:**

მსაჯთა მართვის სამსახურის ანგარიშის გადაიდო გამგეობის მომდევნო სხდომისთვის.

მერაბ ანთაძე \_\_\_\_\_

კობა გიორგაძე \_\_\_\_\_

მამუკა გორგობე

---

აკაკი დავითულიანი

---

ზვიად თავართქილაძე

---

დავით კაჭარავა

---

გიორგი კობახიძე

---

ოსებ ტყემალაძე

---

გრიგოლ ქერაშვილი

---

გელა ქობულაძე

---

ალექსანდრე ხვედელიძე

---

ლაშა ხურციძე

---